სამშობლო

ხუთშაბათი
28 იანვარი
წელიწადი II.

№ 273 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 273

ტელეფონი № 76. ტელეფონი № 76.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ [illegible] 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. [illegible]ტეზით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. [illegible] მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკა[illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარე[illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო“-ზე

გაზეთი-გა[illegible]ვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურ[illegible]აზეთი ღირს 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნომერი 5 კ.
რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.

უზომოთ დამწუხრებულნი ნოე გრიგოლის ძე გამრეკლიძე შვილებით, მარიამ დიმიტრის ასული გუნცაძისა, კონსტანტინე, მიხეილ, დავით, გრიგოლი, დიმიტრი და ეკატერინე სიმონის ძენი და ასული გუნცაძეები და ისიდორე გრიგოლის ძე გამრეკლიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი უსაყვარლესი მეუღლისა, მეორენი ძვირფასი დედისა, მესამე დაუვიწყარი შვილისა, მეოთხენი უძვირფასესი დისა, ხოლო უკანასკნელი ძვირფასი რძლისა

ნინო სიმონის ასული გამრეკლიძისას,

რომლის გამოსვენება დანიშნულია, 28 იანვარს, დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე, საკუთარ სახლიდან (ძველი თფილისის ქუჩა) და დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე. 2—1

წარმოდგენა № 47

ქალაქი ქუთაისი. „ქართული დრამა“ ქალაქის თეატრი.

ხუთშაბათს, 26 იანვარს 1916 წ. წარმოდგენილი იქნება

პლატონ კორიშელის საბენეფისოდ

სიყვარული და ვერაგობა

5 მოქმედებათ შილლერისა, თარგმანი ვ. ყიფშიძისა.

ვურმის როლს შეასრულებს მობენეფისე.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ბეჟანიშვილი სუზანა, მდივანი მარო, მესხი ეფემია, ლოლობერიძე ოლიმპიადა, ბბ. ბარველი ვანო, დადიანი შალვა, კორიშელი პლატონ, სარელი ლადო, ყალაბეგიშვილი სანდრო, ჩაკუნავა ნიკო, [illegible] ვარ.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი შ. დადიანი. ადმინისტრაცია „ქართ. დრამ.“ ამხ.-სა.

ანონსი: მზადდება **ვანო ბარველის** ახალი ისტორიული კომედია **გამარჯვებულნი.**

„ცისფერი ყანწები“

ალმანახი გამოვა 7 თებერვალს.

ყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი სააგენტო დაზღვევ (სტრახის) საზოგადოება

„რუსეთი“ („როსსია“),

დაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგან. [illegible] მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

აგენტი დაზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 28 იანვრიდან ახალი პროგრამა.

ვნებათა ღელვა

დრამა 4 ნაწილად, გამოჩენილ ლიდა იაკორსკის მონაწილეობით.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 28 იანვრიდან ახალი პროგრამა.

ელენე პავლეს ასული და სერგო

(ძალა სიყვარულისა)

ვერბიცკაის რომანიდან 6 ნაწილად. საუკეთესო სატახტო არტისტების მონაწილ.

განცხადება.

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თანახმად 1915 წლის 22 ნოემბრის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა 1 თებერვლიდან 1916 წლ., ომის დასრულებამდე შემოღებულია ბაჟი თეატრებსა კინემატოგრაფებსა და ყველა გასართობ საღამოზე შესასვლელ ბილეთებზე შემდეგის სახით:

ორი შაურიდან ათ შაურამდე ღირებულ ბილეთებზე—2 შაური; ათი შაურ.—1 მან.—1 აბაზი,

შემოსული ბაჟის $^2/_3$ გადაიდება ხაზინის სასარგებლოთ, ხოლო $^1/_3$ დედოფალ მარიამის უწყებაში მყოფ დაწესებულებათა სასარგებლოთ. ამიტომ ამ ბაჟების მიხედვით, 1 თებერვლიდან 1916 წლისა ელექტრო-თეატრ „რადიუმსა“ და „ამპირში“ შესასვლელ ბილეთებზე დაწესებული იქნება შემდეგი ფასი: ლოჟა 17 შაური; 1 ადგილი 15 შაური; 2 ადგილი 10 შაური; მესამე ადგილი 6 შაური; მოწაფეთათვის მეორე ადგილი 6 შაური; ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 1 აბაზი.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი ი. ჩარიძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლეჟავაზოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა დ. ბაღდასაროვის? ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი ზ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ღორთქიფანიძის სახლი. თ.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტ-

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს.
გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

სტუდენტი ფილოლოგიას ზადებს და უსწორებს გაკვეთილებს, ზომიერ ფასათ. ნახვა შეიძლება ყოველ დღე 2—4 ს.
გოსპიტლის ქუჩა სახლი ლობჟანიძისა? ბინა ალელოვისა. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილად ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქატერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქატერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძისსახლი. თ

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეთი.

შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 26 იანვარი. ღამის განმავლობაში ბრძოლის ფრონტზე არაფერი ცვლილება არ მომხდარა. ბელგიაში ჩვენი არტილერია წარმატებით უშენდა გოტსისთან მდებარე მცირე საველე რედუტს და მტრის თხრილებს სტენსტრატეს პირდაპირ. არტუაში ჩვენმა ბატარეამ ძლიერი აფეთქება გამოიწვია გერმანელების ბრძოლის ხაზზე. სომსა და უაზს შუა მდებარე მიდამოებში ჩვენ გავანადგურეთ მტრის ბლოკჰაუზი. შამპანში ჩვენმა მძიმე არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მტრის სიმაგრეებს და ცეცხლი გამოიწვია. დანარჩენ ფრონტზე საარტილერიო სროლაა. ჩვენმა ბატარეის ცეცხლმა გაანადგურა მტრის საველე სიმაგრეები და სადარაჯოები.

ზღვაზე.

პარიზი. 26 იანვარი. ოფიციალური ცნობა საზღვაო სამინისტროსი. 24 იანვარს ინგლისის კრეისერი და საფრანგეთის ნაღმოსანი ადრიატიკის ზღვაში შეხვდენ მტრის ოთხს კონტრ-ნაღმოსნებს, რომელთაც სროლა აუტეხეს და გააქციეს. მეორე დღეს მოკავშირეთა გემებზე დურაცოს წინ კვლავ იერიში მოიტანეს. მტრის წყალქვეშა ნავი შეეცადა ინგლისის კრეისერის დაღუპვას, მაგრამ ნაღმი მიზანს ვერ მოხვდა.

წყალქვეშას დავედევნეთ და იერიშზე ხელი ავაღებინეთ.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ბალკანეთში.

გაზ. „რუსკოე სლოვოს" დეპეშით აუწყებენ, რომ სალონიკის ფრონტზე გერმანიის გვარდია მოვიდა. ამბობენ, რომ გენერალმა მაკენზენმა უკვე გასცა ბრძანება შეტევა დაიწყონ.

ბუქარესტიდან იუწყებიან: გერმანიამ საბერძნეთთან შეთანხმების ახალი პროექტი შეიმუშავა: საბერძნეთს ვოლონის ველს დაუთმობენ.

სერბიის და მთაშავეთის ყველა გადარჩენილი ჯარები სამხრეთ-ალბანეთში იყრიან თავს: ალბანეთში მათი გადასვლა ახლაც გძელდება.

სალონიკში პაეროპლანიდან ყუმბარების ჩამოგდების შემდეგ ქუჩებში საბერძნეთის დარაჯები ჩააყენეს, რომლებიც წესიერებას იცავენ.

კავალაში საბერძნეთის ჯარები აჯანყდენ, რომლებიც ვითომ ბულგარეთის წინააღმდეგ ომს მოითხოვენ (!)

მომავალი ბრძოლისთვის მზადება.

როგორც რომიდან იუწყებიან, გერმანია მომავალ სამხედრო საზღვაო ოპერაციისთვის დიდათ ემზადება. ოპერაციას, როგორც ფიქრობენ, გაზაფხულის დამდეგიდან დაიწყებენ.

არეულობა ლეიპციგში.

სანოვაგის გაძვირების ნიადაგზე, როგორც კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, ქ. ლეიპციგში დიდი არეულობა მოხდა: მცხოვრებთა ბრბომ რამდენიმე მაღაზია და ბაზარ-დუქანი სულ ერთიანათ მიანგრ-მოანგრია. ქუჩებში მოხდა პოლიციასთან შეტაკება, დაიღვარა სისხლი. ამბობენ, დაჭრილთა და მოკლულთა რიცხვი დიდია. ქალაქის შუაგულ ადგილას, სადაც ხალხი უფრო ეტანება, პოლიციამ ალყა შემოარტყა და შიგ არავის უშვებს, რომ ამ გზით როგორმე დანგრევას გადაარჩინოს იგი.

როგორც „ნოვოე ვრემიას" კორესპონდენტი იუწყება, ასეთივე არეულობა მოხდა გერმანიის ქალაქებში: ბერლინსა, დრეზდენსა, გამბურგსა, კელნსა და მიუნსტერნში. ყველგან ლანდშტურმისტებსა და ქალთა ბრბოთა შორის შეტაკება მოხდა.

ქრონიკა

რუსეთი.

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთა საოლქო სიეზდზე.

ქ. ადესიდან იუწყებიან, რომ საოლქო სიეზდზე სხვათა შორის ნიკოლაევის კომიტეტის წარმომადგენელმა შემდეგი განაცხადა: სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების მოღვაწეობის წარსამართავათ მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამასთან ერთათ წარმომადგენლის აზრით მუშათა პროფესიონალური კავშირებს ლეგალიზაცია აუცილებელია, რათა სამრეწველოებზე მუშათა კოლექტივებს გავლენა ჰქონდეთ.

სიეზდის თავმჯდომარემ, ინჟენერმა პრაიკევიჩმა სთქვა: ქ. ადესაში მუშათა წარმომადგენლობის საქმე კარგათ ეწყობა და კითხვა ამ დღეებში საბოლოოთ გადაწყდება. არჩევნები, როგორც განზრახულია, პირდაპირი უნდა იქნეს, ასე რომ კაცებთან ერთათ ქალებიც მიიღებენ მონაწილეობასო.

სიეზდი მრავალ სხვა კითხვასაც შეეხო. სხდომა ორ დღეს გაგრძელდა.

შაქრის გატანა აკრძალეს

ადესის გენერალ გუბერნატორმა ადესის ოლქიდან შაქრის გატანა აკრძალა.

რა უნდა გააკეთოს სახელ. სათათბირომ?

ამ კითხვაზე დეპუტატები უკვე ორ ჯგუფათ გაიყვენ: ოქტომბრისტი გოდნევი იმ აზრისაა, რომ სახელ. სათათბირომ მომავალმა სესიამ ბიუჯეტის შემდეგ ყველა ის კანონპროექტი უნდა განიხილოს, რომლებიც მთავრობამ **87** მუხ. ძალით უკვე გაატარა. მემარჯვენეები, ნაციონალისტები და ბოლშოვცები კი ფიქრობენ, რომ სახელ. სათათბირომ სახელ. ბიუჯეტი განიხილოს და მერე კი დაიშალოს.

ქ. ქუთაისი, 28 იანვარი.

ეკონომიური პოლიტიკა. ყველა მოწინავე ერები, სახელმწიფოებრივ, თუ სხვა რაიმე ორგანოების საშუალებით, საკუთარ ეკონომიურ პოლიტიკას აწარმოებენ. ეს პოლიტიკა არც ახალია და არც რთული.

ყველამ შეიგნო, რომ როგორც კერძო პიროვნების, ისე მთელი ხალხის კეთილდღეობა არ შეიქმნება გარეშე ადამიანისთვის საჭირო ქონებისა, დოვლათისა. თუ კაცს საკმაო და შესაფერისი საჭმელ-სასმელი, ბინა, სამოსელი და სხვა არ მოეპოვება, ის ვერ იქნება კმაყოფილი თავის ცხოვრებით.

ხალხისთვის საჭირო, მრავალნაირი მისი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საგნები შეიქმნება ბუნების ძალთა დამუშავებით, მეურნეობის, თუ მრეწველობის საშუალებით.

ბუნებაში გაფანტული და ადამიანისთვის გამოუსადეგარი ნივთიერებანი მრეწველის ხელში ჩვენთვის საჭირო ნივთათ იქცევა.

ამის გამო, რაც უფრო განვითარებულია რომელიმე ქვეყანაში მრეწველობა, რაც უფრო მეტს საქონელს ქმნის იქ ხალხი, მით უფრო მდიდარი და უზრუნველყოფილია ის ქონებრივათ. ამით აიხსნება, რომ მოწინავე ერები დღითი დღე ავითარებენ, აძლიერებენ მრეწველობის თუ მეურნეობის სხვადასხვა დარგებს.

რასაკვირველია, წარმოების ნაყოფი თანასწორათ არ ნაწილდება—ერთს მეტი მიაქვს, მეორეს ნაკლები, მაგრამ ეს არ უშლის ხელს იმათ, ვინც მოწინავე ერთა ცხოვრებას სათავეში უდგას, რომ მრეწველობის შექმნაზე იზრუნონ. იმათ კარგათ იციან, რომ, როდესაც ხალხში დიდი სიმდიდრე დაგროვდება მიუხედავათ მისი უთანასწორო განაწილებისა, მოიმატებს, გაიზრდება მთელი ერის კეთილდღეობაც. ამისთვის აწარმოებენ ისინი სიმდიდრის შექმნის და ეროვნულ ფარგალში დაგროვების პოლიტიკას.

ასე იღწვიან სხვაგან. ჩვენში? უკუღმართ პოლიტიკას აწარმოებენ ისინი, ვინც მას მეთაურობენ. სიმდიდრის, ქონების შექმნა, დაგროვება, და ამისთვის ჩვენში ჯერ სუსტ ვაჭრობა-მრეწველობის ხელის შეწყობა, დახმარება აბა როგორ შეიქმნება ჩვენი ცხოვრების მესვეურების ზრუნვის საგნათ? კერძო საკუთრების ნიადაგზე აღმოცენებულის თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების ხელის შეწყობა ხომ მათი სოციალისტური იდეალების ღალატი იქნებოდა.

და განა მათ არ იციან, რომ თუ ჩვენში ვაჭრობა და მრეწველობა არ განვითარდება, ჩვენი ხალხი ასე ყოველმხრივ დაქვეითებული დარჩება?

იციან, კარგათ იციან!

არც ის არის მათთვის საიდუმლო, რომ ეკონომიურათ დაქვეითებული ერი გადაგვარების და დაღუპვის გზაზე დგია. იციან მათ, რომ სიღარიბის და სიღატაკის ნიადაგზე არ შეიქმნება და არ აყვავდება ეროვნული კულტურა. ყოველივე ეს ალბათ არ ავიწყდებათ მაგრამ რა ქნან, როდესაც ისინი სოციალისტები არიან და ჩვენს ცხოვრებაში მოვლენილან არა სიმდიდრის შესაქმნელათ, არამედ მის განსაზოგადოებრივებლათ.

მაგრამ ხანდახან, უნდა აღვიაროთ, ჩვენი სოციალისტებიც გამოდიან ქართულ ვაჭრობა მრეწველობის დამცველათ. ალბათ შიშობენ რომ თუ მთელი ჩვენი სიმდიდრე უცხოელებმა წაიღეს, ჩვენ სოციალისტებს გასაყოფი აღარაფერი დარჩებათ. აი, გაზეთი „მეგობარი" მწუხარებით აღნიშნავს, რომ მოკლე ხანში მოსალოდნელია ჰიათურაში უცხოელებმა დიდი მამულები ჩაიგდონ ხელშიო. უთუოთ იკითხავს მკითხველი, რა აწუხებს „მეგობარს"—ის რომ ქართველების ქონება უცხოელების ხელში გადავა და ჩვენ ღარიბ-ღატაკნი დავრჩებით? არა, აშინებს, რომ უცხო კაპიტალ[illegible] თავიანთ მუშებს მოიყვანენ [illegible] და „შეგნებით გაცილებით უფრო [illegible] მდგარი" ქართველი მუშები სამუ[illegible] ვერ იშოვნიანო. აი თურმე რა [illegible] ახიფათო. თორემ თუ კი უცხო[illegible]ბი ჩვენდამი იმდენ ლმობიერებას გამოიჩენენ, რომ ჩვენს სიმდიდრეს ჩვენი ხ[illegible] ამოგვალებინებენ მიწიდან, და[illegible]ბენ და შემდეგ წაიღებენ, მაშინ რა გვიშავს? სიმდიდრე თუ სხვის ხელში გადავა, სანუგეშოთ ის დაგვრჩება, რომ უცხოელ კაპიტალისტებს მოჯამაგირეთ ჩვენი „მეგობრის" „შეგნებული" სოციალისტები ეყოლებათ, და ეს დიდ ბედნიერებას შეადგენს, თუ ქართველი [illegible]ისთვის არა, ჰიათურის სოციალისტური მოძრაობისთვის მაინც.

სომხური პრესა

სომხური გ[illegible]თი „ჰორიზონი" განაგრძობს ქართ[illegible] ჟურნალ-გაზეთების დახასიათებას. [illegible] მება „სახა[illegible] ფურცელი" [illegible]რთვა. ეხლა სომხური გაზეთი [illegible] ქება ხოტბით იხსენიებს ქუთაისურ [illegible]ეგობარსა"-ც, და განა ყველასთვის [illegible]არა არ არის, რით დაიმსახურა „სა[illegible]თველომ" და „სამშობლომ" სომხ[illegible] გაზეთის რისხვა და ჩვენმა სოცია[illegible] გაზეთებმა კი სომხების ქათინა[illegible]? სომხების სიყვარული ჩვენს სო[illegible] ფედერალისტებს არც თუ [illegible]ჯდეთ. ტყვილად ხომ არ და[illegible] [illegible] სომხებს,—ოღონდ თქვენით, [illegible] სიყვარულს ნუ მოგვაყ[illegible] და ნახევარი საქართველო ბორჩა[illegible] ახალ ქალაქის მაზრა და ზაქათა[illegible] ოლქი თქვენი ჰ[illegible]რის სანაცვლო[illegible].

[illegible]ნ უცვლელათ მოგვყავს „ჰორიზო[illegible] აზრი „საქართველო"—„სამშობ[illegible]" შესახებ—რაც ჩვენთვის საიდუმ[illegible]ების აქამომდისაც არ შეადგენდა.

„საქართველო". გამოდის თფილისში. [illegible] ყოველ-კვირეული ჟურნა[illegible] „კლდის". ერთი წლიწადი რაც ყო[illegible] დღიურ გაზეთად გადაკეთდა. თავს ნაციონალურ-დემოკრატიულ გაზეთს უწოდებს. გარკვეული სახე არა აქვს. მეთა[illegible]ხელზე ახდენს შთაბეჭდილებას ნერვებით ავადმყოფისას, რომელთანაც დაშარეკა არ შეიძლება და რომელიც ყურს არავის უგდებს. შეუძლებელია მის ლანძღვაზე ადამიანმა ზრდილობიანად გასცეს პასუხი. გულდრიღად ვერც ერთს საკითხს ვერ არჩევს. სხვისი აზრისა და სიტყვის [illegible]ტივისცემა არა აქვს: ლანძღავს მარჯვნით და მარცხნით ყველას, ვინც მას რაზმს არ ეკუთვნის. ამ გაზეთის მოღვაწეობის დედ[illegible]ძია ქართული ნაციონალური საქმე. მას ჰსურს ქართველი ხალხი დაკავშირებული იყოს, განურჩევლად მემამულისა, გლეხისა, მექარხნისა, მუშისა, მღვდელისა, მე[illegible]ნაირისა და სხვა. საკმარისია, რომ ყველა ესენი ქართველები არიან. შეურიგებელია ტერიტორიის საკითხში; აქ მას არავითარი კომპრომისი არა სწამს. მან იცის მხოლოდ ისტორიული საქართველო და არავითარ ანგარიშს არ უწევს სინამდვილეს. მისი წე-

ქართველი ქალი.

(შედარებითი დახასიათება)

I

ქალი, ეს მშვენიერი ქვეყნად გაჩენილი ქმნილება, სუსტი სხეულის, მაგრამ ძლიერი ხასიათის პატრონია. ქალის ხასიათის თვისებაზე ყველა ხალხს აქვს შესაფერი ანდაზა: რუსები ამბობენ: „если женщина захочетъ, такъ поставитъ на своемъ", ფრანგები: „què la femme veut, le diable le veut," ქართველები „თუ დედა-კაცმა ჰგაწია, ცხრა უღელი ხარი ვერ დააკავებს"-ო. მით უფრო მნიშვნელოვანია ეს მოვლენა, რომ მასზე დამყარებულია მთელი ძალი და ბედი ოჯახისა, მაშასადამე, ერისა და კაცობრიობისა. თუ ქალი კარგი ხასიათისაა, ოჯახიც წინ წაიწევს, ერს დაეხმარება და კაცობრიობის წარმატებაში მონაწილეობას მიიღებს; მაგრამ თუ ცუდი ხასიათისაა, ოჯახსაც დაღუპავს, ერს მოაკლებს მშრომელ და სასარგებლო წევრს და კაცობრიობის მავნებელი ხდება. ასე რომ, ქალის ხასიათს შეუძლია საზოგადოებას გაუწიოს კეთილი სამსახური, ან და მოუტანოს მას აუწერელი ვნება. ისტორიული მაგალითები გვაჩვენებს ყოველ მხრივ შემკობილს კეთილ ხასიათის ქალებს და გვიმტკიცებს ჩვენგან წარმოთქმულ აზრს. ბევრი მაგალითი მომხდარა, რომ კაცი, მტკიცე და საზოგადოდ ძლიერი ხასიათის პატრონად ცნობილი, სათამაშოდ გამხდარიყო ნაზი და მორჩილი ხასიათის პატრონის ხელში. ვერავინ იტყვის, რასაკვირველია, რომ მხოლოდ ხასიათი იყოს თავი და ბოლო ყოველივე საქმის წარმოებასა და გამარჯვებაში: სხვა და სხვა გარემოებასაც აქვს ამ შემთხვევაში გავლენა, მაგრამ ვიმეორებ, ყოველივე ისტორიულ ან სხვა რაიმე საქმეში, უმთავრესი გავლენა აქვს ხასიათს. ამისათვის არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ ქალებს დედა მიწაზე ყოველივე საქმეში და მასთან კაცობრიობის კულტურულ განვითარებაზე, დიდი გავლენა ჰქონიათ და აქვთ. საფრანგეთის ერთმა ჩინებულმა [illegible] წარმოსთქვა: „chercher la femme" [illegible] მიზეზი რაიმე მოვლენისა, თქვენ ქალი უნდა ეძიოთ, რადგანაც ამ მწერლის აზრით, დედა-მიწაზე არაფერი არ მოხდება ისეთი რომ რომელშიაც ქალი არ ერიოს.

II

ისტორია მოწმობს, რომ მართალია, პირველ ხანებში, პატრიარხატის დამყარების დროს, ქალი ითვლებოდა მონად, სასყიდელ ნივთად, მაგრამ შემდეგ ხანებში, დროთა ვითარების მიხედვით, მიუღია სხვა და სხვა ადამიანური უფლება და ბოლოს მიუღწევია იმ მდგომარეობამდე, რა მდგომარეობაშიაც იმყოფება ამ ჟამად, როდესაც ქალი თუ ვერ გათანასწორებია მამაკაცს, მაინც გაცილებით მაღლა სდგას პირვანდელზე. ერთის სიტყვით, ისტორია გვიმტკიცებს, რომ ქალის მდგომარეობას ეტყობა თან და თან გაუმჯობესობა. ქალს ხშირად გამოუჩენია თავი სხვა და სხვა ასპარეზზე.

მეორეს მხრით, იგივე ისტორია ნათლად გვიხატავს, რომ ქალს, მიუხედავად თავისი ჩაგრული მდგომარეობისა, თავის გონება-მახვილობით და მაღალის განვითარებით ხშირად მდგარა იმ უმაღლესს წერტილზე, სადამდინაც კი მიუღწევია მამა კაცის ჰკუა-გონებას. გადავავლოთ თვალი ძველი ცივილიზაციის ქალის მდგომარეობას და მის გაუმჯობესებას.

ქალი ძველად, როგორც ვსთქვით, ითვლებოდა მონად, ნივთად და არავითარი უფლება არ მიუძღოდა მამისა ან ქმრის წინაშე; ერისაც და მეფისაც ჰქონდათ თავისი ქალისა და ცოლის სიკვდილ სიცოცხლეზე უფლება ქონებრივათაც ქალი მთელ თავისი სიცოცხლის განმავლობაში არ იყო დამოუკიდებელი; თუ არ იყო მამისა ან ქმრის ხელში, იმ შემთხვევაში იგი იმყოფებოდა მზრუნველობის ქვეშ. თუ ქალი დაქვრივდებოდა, დაუნიშნავდენ მზრუნველს და თუ ქმრისს დარჩებოდა ვაჟი-შვილები, ერთ-ერთი მათგანი დაინიშნებოდა მზრუნველად. შემდეგში კი, ქალების მდგომარეობას ეტყობა საგრძნობელი, შესამჩნევი წინ-სვლა....

დადგა მეთვრამეტე საუკუნე. როგორც ვიცით, ეს საუკუნე იყო დრო მეცნიერულ და სამოქალაქო აზრების აღორძინებისა, იგი ღაღადებდა თავისუფლებას, როგორც აზროვნებისას, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებისას. ამ დროს საგნათ ჰქონდა გამოხსნა იმ მრავალი კვანძისა, რაც კი გამოენასკვა ხანგრძლივ ისტორიის უსამართლობას. მონობა, პიროვნული თუ ეკონომიური, იყო ალსარებული, როგორც შემაგინებელი კაცის წმიდათა-წმიდისა და ცოცხალი აზრი გაღვიძებული კრიტიკა „მე არ შემინიშნავს" მოგვითხრობს იმ დროის ფრანგი მწერალი საქართველოში შეუდგა ქალის მდგომარეობის გაუმჯობესებას უშვერი სახე არც ერთ სქესში. აქაური სახეები აღბეჭდილია ანგელოზებრივის გამომეტყველებით. ბუნებას მოუფენია უმეტეს შემთხვევაში ქალებზე ის სიტურფე, როგორიც სხვაგან არსად იპოვება. დახელოვნებული მხატვრობაც ვერ წარმოადგენს მათ უმშვენიერესს სახესა და მოყვანილობასა.

ქართველი ქალები არიან ტანოვანნი და წელში გასაცვიფრებელი წვრილნი, კეკლუცნი და წარმოსადეგი აგებულების; არიან მახვილის გონებისა, ზრდილნი და თავაზიანნი, ამასთანავე ამაყნი და თავმოყვარენი. ქართველ ქალ-ვაჟთა სილამაზის გამო მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნოებში სპარსნი და ოსმალნი დიდძალს ქალ-ვაჟთ ატყვევებდენ და გაჰყავდათ საქართველოდან. ხარკათაც ეძლევათ ეს უბედურთ ჩვენ მთავრობას და მეფეებს. საფრანგეთის ერთი მწერალი, დიუბაც-დე-მონპერე მოგვითხრობს, ვითომც ზეციერმა განგებამ ამიტომ მოეყენა საქართველოს ეს უბედურება, რომ აღმოსავლეთის ხალხთ სისხლი განმენდილიყო, და მაგალითად ასახელებს სპარსთა ძველები იყვნენო უშვერნი, მაგრამ უკანასკნელ დროს გალამაზდენ, ე. ი. შეიცვალენ, რადგანაც იშვიათი იყო სპარსული ოჯახი, რომ არ ყოფილიყო საქართველოდან წაყვანილი ანუ მოტაცებული ქალიო. ის შესცდება, ვინც იფიქრებს: ვითომც მხოლოდ გარეგანი თვისება იყო მიზეზი უცხო ტომთაგან ცდისა,—ქართველი ქალები მუ[illegible]დათ. არა, სადაც ალადგენს უმაღლესს ადამიანთა თვისებ[illegible] ან როგორც ევროპიელები იტყვიან [illegible] სულთა ტრფა, იქ მარტო სახის სიმშვ[illegible] არ აკმარებს. ამ ტომში ბუნება [illegible]ხვევს თვით ზნეობითის ხასიათიც, ე. ი. შეამკობს მაღალის ღირსებებით, ხასიათის სიმტკიცით და ძალით, ნამდვილის ზრდილობით და მიმზიდველის მიმოხვრითა ან მანერებით. ამ თვისებებით, მეტად თუ ნაკლებად განირჩევიან ის ტომნი, კავკასიის ქედიდგან წარმომდგარნი სხვა [illegible] მდგომარე ხალხთა შორის. საქართველოს ხალხი ამ ხასიათით მიიქცევდა თავის თავზე საზოგადო ყურადღებას. საქართველოს ქალების ბედ-რკული ხვედრის მიზეზი ეს იყო.

III

ჩვენებური ქალები იყვნენ ჰკუიანნი, მცოდნენი, გამჭრიახნი და ქვეყნის სასარგებლონი. მათ მიერ იყვნენ აღზრდილნი და გაწვრთნილნი საქვეყნო საქმეებში, საქართველოს თითქმის ყველა უდიდესნი მეფენი. ისინი იღებდენ მონაწილეობას პოლიტიკურს საქმეებში, ერის განათლებაში და იცავდენ ხალხის ერთობას და მშვიდობიანობას. ჩვენში კაცს არა ჰქონდა იმდენი მნიშვნელობა ერის განათლებაში, რამდენიც ქალსა. ქალი იყო ოჯახში ზნეობის დამამყარებელი, ხალხის აღმზრდელი და კეთილ-დღეობის გზაზე დამყენებელი. ქალებმა იჩინეს ჩვენში თავი სხვა და სხვა ასპარეზზე, როგორც ქრისტიანობის გამავრცელებელნი, როგორც დიპლომატები და პოლიტიკოსები, როგორც აღმზრდელნი, როგორც მებრძოლნი და როგორც მეოჯახენი. ქრისტეს ქვეყანად მოსვლამდე ქართველებს არა ჰქონდათ მოსაწონი სარწმუნოება. ისინი თაყვანსა სცემდნენ ქართლოსის "საფლავს, როგორც გაღმერთებულს მამათ—მთავარს, კერპა არმაზს, კერპა შოთას, რომელიც ხვნა მთესველების ღმერთად მიაჩნდათ; აგრეთვე კერპებს გაცის და გაიმს, არტემის და აპოლონს, ცეცხლს, მთვარეს, მზეს და ზღვის ვარსკვლავს—„მრავალს". ამათი მსხვერპლი იყო, სხვათა შორის, სისხლი კაცისა, და უმანკო ყმაწვილებს ყელსა სჭრიდენ ამ კერპების წინაშე. აბა, რომელი დედა არ მოინდომებდა იმ სარწმუნოების ამოგდებას, რომელიც მხურვალედ ითხოვდა იმათ საყვარელ შვილებს და იმათ კი მწარე და მდუღარე ცრემლით ატირებდა. როცა 45 და 60 წლებს შუა ქრისტეს ამაღლების შემდეგ საქართველოში მეფობდა **ადერკი**, სამცხე—კლარჯეთში მთავრობდა ქვრივი დედა—კაცი გვარად **სამძივარი**. ამ დროს მოვიდა აქ ანდრია მოციქული და დაიწყო სამცხეში ქადაგება ქრისტეს სჯულისა. რადგანაც **სამძივარმა** გაიგონა, რომ ანდრიას ღმერთს კაცის მსხვერპლად შეწირვა დიდ ცოდვად მიაჩნია, დიდათ მოეწონა ეს ამბავი და მაშინვე თვითონაც ირწმუნა ქრისტე და თავის მცირე წლოვანს შვილსაც მიაღებინა ქრისტიანობა და მოიწადინა ქრისტიანობის ხალხში გავრცელება. მის ჩაგონებით ხალხმა მიიღო ახალი სარწმუნოება. სამცხე, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი ანდრიამ მოაქრისტიანა დედა-კაცის შემწეობით. ქართლ-კახეთში წმ. ნინომ გაავრცელა ქრისტეს სარწმუნოება. ეს მოხდა 318 წლის შემდეგ ქრ. დაბადებისა. წმ. ნინოს დედ-მამანი (წმ. ნინო იყო ჩამომავლობით ქართველი, კაპადოკიელი) რომ ბერად შესდგენ, ის წავიდა იერუსალიმში. იქ ჯერ შეისწავლა კარგად ქრისტიანობა, მერმე წამოვიდა სამშობლო საქართველოში მტკიცე განზრახვით, რომ გაევრცელებია ხალხში ქრისტეს სწავლა და კიდეც მოიყვანა სისრულეში თავისი განძრახვა. ნინოს ცხოვრება და ღვაწლი აღწერილი აქვს ბატონიშვილის რევას ცოლს, რომელმაც ჩავდო საძირკველი ქრისტიანული მწიგნობრობისა ხალხში.

საკმაოა გადავავლოთ თვალი ძველ[illegible]ბურ ქალებს, მეფე ფარნაოზის დედის და[illegible] ორი დების, გორგასლანის დედის, ბ[illegible]რადუნზედ დედოფლის და ვასასის, მე[illegible] გიორგი მე-III-ს დის რუსუდანის—აღმზრდელის თამარ მეფისას, თვით თამარ მეფის, დედის—იმედის, შახაბაზის დედ[illegible] ბუზუმ დედოფლის, ქეთევანის—მეფე თეიმურაზის დედის, თეიმურაზის ცოლის[illegible] როსტომ მეფის ცოლის—მარიამ დედოფლის, ირაკლის დედის—თამარ დედოფლის, გიორგი მე-XIII ცოლების, ქეთევანის და [illegible]მისა, დედოფლების რუსუდანის და დარეჯანის მოღვაწ[illegible]

ებადანა სჩანს, რომ „მშ[illegible]" გლემენ-ბს თავიანთი სახლ-კარს თა[illegible] უნდა დაა-ან და წავიდნენ საქართველ[illegible]დან, [რო-ზ ასეთი ადგილიდგან, რ[illegible]დაც ის-რთველად ქართველებს ეკუთ[illegible]დათ. ან ა უნდა დაანებონ პოლიტიკურ[illegible] და საზოგადოებრივ საკითხებზე ფიქ[illegible]. მას ება „დათმობითი" პოლიტიკა ფე-ოსტების. დასკვნები კი ეგედ [illegible] მიზეზად მიაჩნია. იმათ, ვინც ზეს არ ეკუთვნის, „ერის მტრო-ად" ნათლავს.

ზეპედლთაგან მხოლოდ სომხები სწყე[illegible]ს ოს" და „საქართველო"-ს ნომრე[illegible] ამგვარი წერილებით. მის მოთმინ[illegible] ფიალა ავსო, როდესაც იმა სომხე-[illegible] გამო სომხები კავკასიაში გადმო-დნენ. უკანასკნელთა შესახებ იგი ამ-ეკლესიერს, რაც კი ენაზე მოად-. იგი არ დაკმაყოფილდა იმით, დაიანა სახაზინო დახმარება. იგი შორს წავიდა. მან გამოაცხადა, კავ-ა გამოქცეულთათვის არის „ადგილმი-ს". აქეთ იმიტომ მოდიან, [რომ მა-ან თბილი ტანისამოსი, პური, ფუ-ქლეა. აქ ჩსურთ გადმოსახლდნენ [თა საკუთარი სურვილით; მათ სხვა ათასი ება. ხშირად პროვოკაციასაც ეწევა. აშტეხენებს სომხებს, აზრადა აქვთ „მაძაბი" მომავალ ავტონომიურ სომ-შეერთონ და თიშალებსა და სხარ-თმი გამოუცხადონ.

ამ შეიძლება ითქვას, გაზეთის მკით-ხველები არა ჰყავსო; გარდა ამისა იგი ვრცელდება უმაღლეს წრეებში. იგი თანდათან იზრდება და გავლენას ჰპოვულობს საზღვრულ საზოგადოებრივ წრეებში. „საქართველო" უფრო კვარა ჰბეჭდავს სუ-ებიან დამატებას, რომელშიაც მონაწი-ობას იღებენ არა ნაკლებ ცნობილი სა-ოგადო მოღვაწენი, პოეტები და მხატვრები.

„საქართველო" ნაკლებ ვრცელდება, დრე „თანამედროვე აზრი" და „სახალხო ფურცელი".

„მეგობარი". გამოდის ქუთაისში. იმისი მიმართულება ისეთივეა, როგორც „სახალხო ფურცელი"-სა. კავკასიის ერთვნებათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია სოლიდარობის იდეა. მოქმედებს კიდეც ამ მიმართულების მიხედვით. ერთი წელიწადია რაც გაზეთი გამოდის და უკვე საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა ამ გაზეთის გარშემო შემოკრებილი არიან საკმაოდ ძლიერი საზოგადოებრივი მოღვაწენი. რადგანაც გაზეთი ქართული საზოგადოებრივი აზრის ცენტრის—თბილისის—გარედ გამოდის იგი ნაკლებად ვრცელდება.

„სამშობლო". ეს გაზეთიც ქუთაისში გამოდის. თავისი მიმართულებით "კლდე—„საქართველო"-ს ჯგუფს ეკუთვნის. ერთი წელიწადია რაც გამოდის. ცოტა ვრცელდება".

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

უმაღლესი ბრძანებით, სახელმწ. სათათბირო და სახელმწიფო საბჭო გაიხსნება 9 თებერვალს 1916 წ.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ორკვირეული ჟურნალი „ცხოვრება" № 2. ჟურნალი შინაარსიანია.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი ი. კ. ვიშნევსკი, უკვე დაბრუნდა ბათუმის ოლქიდან 26 იანვარს და შეუდგა თავის საქმის მოვალეობის შესრულებას.

✦ 26 იანვარს, აკაკის წლის თავზე ქუთაისის კომერციულ სასწავლებელში გადახდილ იქნა პანაშვიდი, რომლის წინ ადგილობრივმა რჯულის მასწავლებელმა მღ. ს. ლეკვეიშვილმა მიმართა მოწაფეებს შესაფერი სიტყვით და განუმარტა დიდი მნიშვნელობა აკაკისა ქართველთათვის.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობას უკვე მოუვიდა რუსეთიდან 5 ათას ცალამდე გზის ფარნების ბადეები.

✦ თანხმად ბრმების მფარველი კომიტეტის ქუთაისის ქალაქის გამგეობამ გაჰგზავნა ხსენებულ კომიტეტის სასარგებლოთ ქუთაისში არსებული ყულაბები, რომელშიაც აღმოჩნდა ერთი მან. და ერთი აბაზი, ფული გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

✶ ქუთაისში ამ ჟამათ ვიღაც შანტაჟისტებმა სპეციალურათ დაიწყეს მანდილოსნების ხელიდან „რედიკულების" გამოგლეჯა თითქმის მეექვსეჯერ მეორდება ასეთი შემთხვევა. ამას წინათ ბალახვანის ქუჩაზე წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის ეკონომს წაართვეს 27 მან. რედიკულით. ასეთი შემთხვევა მოხდა 26 იანვარს სომხების შესახვევში, როდესაც კერძო საავადმყოფოდან უკან ბრუნდებოდა ელისაბედ სერგიენკო უცნობმა ხელიდან გამოსტაცა „რედიკული" რომელშიაც იყო 14 მ. და ექვსი შაური, სახლის გასაღები და სხვა საჭირო საბუთები და მიიმალა. დრო არის ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

✦ გუშინ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში აკაკის სულის მოსახსენებლად გადაიხადეს პანაშვიდი.

მღვთის გაკვეთილის შემდეგ მოწაფეებმა კორიდორში მოიყარეს თავი და ყველა კლასი დაცალიერდა. მოწაფეები მწყობრათ გაემართნენ გიმნაზიის ეკლესიისკენ. არა ჩვეულებრივი სიჩუმე გამეფდა. მშვენიერი, ლამაზი და გრძნობიერი სიტყვით მიმართა მღვ. ცქიტიშვილმა მოწაფეებს და მასწავლებლებს, და მოკლეთ განმარტა თუ რა სარგებლობა მოუტანა აკაკიმ ქართველ ერს, თავის სამშობლოს. რამდენიმე მოწაფეთა გუნდი მშვენიერად ასრულებდა მხოლოდ საეკლესიო გალობებს.

✦ ქუთ. კლას. გიმნ. მერვე კლასის მოწაფეებმა გადასწყვიტეს გამართონ 20 თებერვალს გამოსათხოვარი ლიტერატურულ მუსიკალური დრამატიული საღამო ომის გამო მეომართა დაზარალებული ოჯახების სასარგებლოდ. პროგრამა დირექტორს უკვე წარუდგინა.

✦ ამავე კლასის მოწაფე კოლინსკიმ, ჩააბარა ეგზამენი და ამ დღეებში მიიღებს სიმწიფის მოწმობას.

✦ გუბერნატორმა ბ-მა პოტულოვმა უკვე მიიღო 33,345 მან. კრედიტი, რომელიც დაურიგდება დღიური ხარჯის სახით ზუგდიდის, სენაკისა და ოზურგეთის მაზრის სახელმწიფო სამართველოების მოხელეთ.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა, განსაკუთრებული კაცით გაუგზავნა ქუთაისის საგუბერნიო სანოვაგის ვაგონების გამანაწილებელ კომისიის გადაწყვეტილება, მთავარ კომიტეტს, რომ ქუთაისს მისცეს აუცილებელ საჭიროებისათვის 200 ვაგონი.

✦ ქუთაისის საურთიერთოსესხოზოგადოების ბანკის გამგეობისა და საბჭოს შეერთებულმა კრებამ 26 იანვარს დაადგინა, რომ მიეცეს ქალაქის გამგეობას სახელმწიფო ხაზინის თავდებობით, საჭირო კრედიტი სანოვაგის მოსაწესრიგებლათ.

✦ 2 თებერვალს ქუთაისის ქართული გიმნაზიის დარბაზში გადახდილი იქნება ამავე სასწავლებლის დაარსებიდან 35 წ. იუბილე.

✦ წერ. კ. გ. საზ. ქუთაისის განყოფილებამ მიმართა ყველა მის მფარველობის ქვეშ მყოფ სამკითხველოების სამზრუნველო კომიტეტს 5 თებერვლამდი წარმოადგინონ სამკითხველოების ანგარიშები, რომელიც წარედგინება მთავარ გამგეობას თბილისში.

✦ სამხედრო სამინისტროს განკარგულებით ქუთაისის ჯარში გამწვევი სამმართველო შეუდგა მეორე ხარისხის (ლურჯ ბილეთიანების) რატნიკების სიის შედგენას. თუ რომელი წლები იქნებიან გაწვეული ამის შესახებ ახლო მომავალში მოელიან ცირკულიარს.

✦ 5 თებერვალს, ქუთაისის ქართული საიმპერატორო ოპერის სოლისტი ვოლფი მართავს კონცერტს. მონაწილეობას მიიღებენ ამავე ოპერის საუკეთესო ძალები.

✦ ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი გუშინ ღამის მატარებლით გაემგზავრა თბილისს, სადაც დარჩება ორ-სამ დღეს. ბინა ექმნება მეუფე საქართველოს ეგზარხოსთან.

✦ ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ-დი გიგო ერისთავი ამჟამად ავათ იმყოფება.

— ✦ 25 იანვარს საღამოს 8 საათზე მესხეთის ქუჩის მცხოვრებ იოსებ მარგველაშვილს გაუტეხეს დუქანი და წაიღეს 49 მ. 14 კ. ფულათ 100 მ. ნათიანი ვექსილი 121 მ. ღირებული თამბაქო და 214 მ. პაპიროსი. სულ 489 მ. 15 კ. ზარალია.

ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ უკვე ნება დართო ქუთაისის ქალაქის გამგეობას ქალაქის საჭიროებისათვის მოიხმაროს სახელმწიფო ადგილის „წყალთა შუა" რაიონი. ამის შესახებ კანტრაქტის დაწერა და მოლაპარაკება გამგეობასთან მიენდო განსაკუთრებულ სასამართლოს მოხელეს.

სათეატრო ქრონიკა.

მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს 28 იანვარს ქალაქის თეატრში პლატონ კორიშელის საბენეფისოდ „ქართულ დრამის" ამხ. მიერ წარმოდგენილი იქნება შილლერის „სიყვარული და ვერაგობა."

——

შაბათს, 30 იანვარს მესამედ „მოლიპულ გზაზე".

——

დიდი ხნის ავათმყოფობის შემდეგ მსახიობი ელო ანდრონიკაშვილი პირველად ითამაშებს ვანო ბარველის ახალ [illegible]რიულ კომედიაში „გამარჯვებანი" კვირას 31 იანვარს.

——

მზადდება მარო მდივნის საბენეფისოდ „თუდას მემკვიდრე."

ქალაქის საბჭოს კრება

(25 იანვარი).

კრება დაიწყო სრულ 9 საათზე. გამგეობის მდივანმა წაიკითხა წარსული საბჭოს სხდომის ანგარიში, რომელსაც კრება ერთ ხმათ ამტკიცებს.

ექ. ბადრიძე ეხება დღევანდელ ყოველივე სიძვირეს და აღნიშნავს, რომ ყოველივე ამასთან ძლიერ გაძვირდა წამალი უწინ თუ ერთი კილო ღირდა 12 მან. ახლა კი 240 მანეთად ფასობს. ჩვენ ექიმებს ტყვილა გვიხდება ხშირათ რეცეპტების წერა ავადმყოფთათვის და ამიტომ ქალაქის საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამას. თუ ომი გაგრძელდა, მაშინ ვერ წარმომიდგენია რა მდგომარეობაში ჩავარდებით.

თავმჯდომარე აფთიაქის კომისია ცხადით წარმოადგენს თავის დასკვნას.

ექ. ალშიბაია გამოსთქვამს აზრს, რომ ამის შესახებ ჩვენ უძლური ვართ, რადგანაც წამლების ტაქსაცია ცენტრში მუშავდება და წამლები უმრავლესათ გერმანიიდან შემოჰქონდათ.

იაშვილი ეთანხმება ექ. ბადრიძეს და გამოსთქვამს სურვილს, რაც შეიძლება მალე საჭირო ზომები მიიღოს ქალაქის გამგეობამ ამის შესახებ.

ექ. ბადრიძე აღნიშნავს, რომ ქალაქის გამგეობა თუ სხვა საჭირო საგნების შეძენაზე ზრუნავს და შესაფერ ზომებსაც ღებულობს, რატომ არ შეიძლება წამლების შეძენაზედაც ვიზრუნოთ, რაც ეს მცხოვრებთათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო. ამასთან მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს მოვახსენო საბჭოს, რომ ჩვენი აფთიაქები ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან.

იაშვილი. სპირტი უსაჭიროესი საგანია აფთიაქისთვის. აქიდან ქვათურაში ზურგზე თუ მოიკიდებთ თორემ ისე ბალაჟით გაგზავნა შეუძლებელია, რადგანაც არ ღებულობენ რკინის გზაზე. საჭი-

---

მ დავრწმუნდეთ ქალების მნიშვნელობაში ჩვენი ისტორიულ ცხოვრებაში. არც ერთს დედა-მიწის ქვეყანაში, გარდა ჩვენ სამშობლოისა, არ მომხდარა, რომ მეფებს სხვა ქვეყანაში დიპლომატიურ კავშირის შესაკრავად ქალები გაეგზავნათ. მიზეზი ის იყო, რომ ჩვენი ქალები ანნი, გონება გახსნილნი, განვითარებულნი იყვნენ და ამასთანავე იყვნენ გამოცდილნი, როგორც მტკიცე მამულისადმი სიყვარულენი და თავ-შემწირავნი. საქართველოს პირველი მეფის ფარნაოზის დედა და ორი და მოქმედებენ საქართველოს ერის პოლიტიკურის თავისუფლების დგენად. რუსუდან დედოფალი თავის ს, გიორგი მეფეს, შვილსაც უზრდის ა დიპლომატობასაც უწევს. ის ზრდის მშვილდის ციხეში სახელოვან თამარ დედოფალს და მის მომავალ საქმროს დავით სოსლანს. მაგრამ როცა საჭიროება მოითხოვს, ის გამოდის თავის სასახლიდან და ერევა სახელწიფო საქმეებში. 1162 წელს როცა ამისმა ძმამ გიორგი მეფემ დაამარცხა მცირე აზიის ებირები და სულთნები და ამით მოიმდურა სამაჰმადიანო ქვეყნები, მაშინ რუსუდანი გაერია ამ საქმეში. სულთნებმა სთხოვეს ენ მეფეს შერიგება. ამ თხოვნაზე მეფემაც თანხმობა განაცხადა, დაიწყეს თათბირი შერიგების პირობებზე. მეფემ დიპლომატად დანიშნა თავისი და რუსუდანი, იმისთვის რომ იმან კარგად იცოდა ის სულთნების წეს-რიგი. დიდებული მანდილოსანი დატრიალდა ჯარასავით: შეარიგა მაჩხუბარნი და ასე დაამშვიდა ენი და იმათი ქვეყნები, ყოველთვის საზოგადოდ, როდესაც ქალი დიპლომატად გამოსულა ჩვენში მას თავის დანიშნულება მშვენიერად და შეურცხვენლად აუსრულებია. დედა-კაცების მეცადინეობით ქართლი, კახეთი და აფხაზიმერეთი შეერთდენ ერთ სამეფოდ. ეს საქმე დაიწყო პირველად იმერეთის მეფის გიორგი ლეონიძის ცოლმა (სახელი არ არის ნახსენები). ამისმა ქმარმა მეფე გიორგიმ, დაიჭირა ქართლი და ერისთავად დასვა თავისი ძმის დიმიტრის შვილი ტინენი? ეს შეერთება არ იყო ხანგრძლივი: ამისთანა შეერთება არა ერთხელ მომხდარა, მაგრამ ყოველთვის ქალების შემწეობით. თვით თამარ მეფის მოღვაწეობა გვიჩვენებს მის დიპლომატიურ ნიჭს.

კარგად რომ გავიგოთ თამარის ჭკუის გამჭრიახობა და სახელმწიფო ნიჭი, საჭიროა შევიტყოთ, რა მდგომარეობაში იყო საქართველო იმ დროს, როცა იმას სამეფო ტახტი გადასცეს. რა იყო ამ დროს საქართველო? იყო ის, რომ ამ ქვეყნის ყოველი კუთხე მოფენილი იყო ეკლესიებით, ყოველ კუთხეს ჰყავდა თავისი ეპისკოპოზი, ერისთავი. ყოველ კუთხეში იყვნენ მთავრები და [illegible]. ამ მთავრებს ჰყავდათ თავისი ჯარი და კარის მღვდელი, ჰქონდათ საკუთარი ეკლესია, სასახლე, მონასტერი და [illegible]ლება ბატონობისა და თავის [illegible] სამფლობელოში მეფის დაუკითხავად საქმის დაჭერისა და გამგეობისა. მეფე იყო ერის მოთავე და ბატონი ბატონთა შორის. მას ემორჩილებოდენ მთავრები ისე, როგორც ევროპაში ვასალები მეფეებს. მეფის სახელი, როგორც ერის მოთავისა, მხოლოდ მაშინ ისმოდა ხმა მაღლა ხალხში, როცა გარეშე მტერი ემუქრებოდა სამეფოს, რომლის ნაწილს შეადგენდა თავადთა დედულ-მამულიც. მხოლოდ მაშინ გამოდიოდენ მთავარნი თავის ჯარებით და ბარგი ბარხანით და უერთდებოდენ მეფის ჯარებს. მართალია, ისინი ემორჩილებოდენ მეფეს და აძლევდენ ხარჯს, მაგრამ ამის გარეშე ისინი დამოუკიდებელნი იყვნენ თავიანთ სამფლობელოში. მათ ხელში იყო ქვეყნის გამგეობა, სამართალი და ლაშქარნი. ყველა მედიდურობდა და თავის-თავს ქვეყნის ბატონად რაცხდა. აი ეს იყო მიზეზი, რომ უცხო ქვეყნებში მთავრებს მეფის პატივს აძლევდენ. ამ მიზეზმა შეაცდინა მრავალი ისტორიკოსნი—უწოდეს ივერიის მთავრებს მეფის სახელი. ერთი სიტყვით, საქართველოში იყო უმაღლესი მაგისტრატურა და მოთავედ ითვლებოდა ის კაცი, რომელსაც ერქვა მეფე; მაგრამ ზნეობითი და პოლიტიკური კავშირი მაზრებისა ძაფზე ჰკიდა. ამის დარღვევას ერთი შებერვის მეტი არა უნდოდა-რა.

ამ გვარი სამეფო წყობილება იყო იმ დროსაც, როცა თამარი გამეფდა. მთავრებს და მეფეთ შორის ისეთი მტრობა იყო ჩამოვარდნილი, რომ საჭირო იყო ძლიერი ხელი რომელსაც უნდა აელაგმა გაბრაზებული თავადობა და არ მიეცა ნება მათთვის ერთმანეთის ქლეტისა და ამასთანავე დაეცვა მეფის სახელი და ღირსება. მეფეს თავგასული თავადობა ეჯავრებოდა და ემტერებოდა მას, თავადთ კიდევ მეფე და ერთმანეთიც. იმისათვის რომ მათ შორის ერიენ მეფის მომხრენიც. ეს მტრობა დაიწყო მეფე ბაგრატ მესამიდან. საჭირო იყო მეფე გენიოსური ჭკუით შეჭურვილი, რომ შეერიგებინა თავადნი, დაესწრო, დაეწყნარებინა და მიემართნა სრულიად ერის ძალ-ღონე ქვეყნის კეთილ-დღეობისა და გარეშე მტრის მოგერიებისათვის. სწორედ ამ ნაირ მეფედ აღმოჩნდა ქართველი ქალი, რომელსაც სახელად თამარი ერქვა და რომელმაც აღუშენა ქართველებს ისტორიულ დიდების ძეგლი.

ავიდა თუ არა სამეფო ტახტზედ დიდებული მეფე თამარი, მაშინვე მოახდინა მთავართა, თავადთა და სულიერ მამათა კრება და უთხრა სეფე სიტყვა, რომელშიაც გამოხატა თავისი სურვილი და უჩვენა ერს გზა სამეფოს გამგეობისა და საქმეების წარმოებისა, რომელსაც ის დაადგებოდა თავის მეფობაში. „შიშველი გამოველ დედის მუცლიდან და შიშველსა მნების ამ წუთის სოფლიდან გასვლა", სთქვა თამარმა სხვათა შორის. „მე მეფე ვარ, მაგრამ იცოდეთ მე დიდების და პატივის მოყვარეობისათვის არ მიმიღია სამეფო გვირგვინი. ჩემი გულითადი წადილი არის ერის კეთილ-დღეობა, მე მსურს, ყველას ცხოვრება იყოს დამტკბარი, **ყველა იყოს მაძღარი და ქონების პატრონი**; არავინ არ იყოს უსამართლობით დაჩაგრული; ყველა სიმართლით იყოს დაჯილდოვებული. მეფესაც და მთავარსაც, ღარიბსაც და მდიდარსაც, ერსაც და სულიერ მამათაც დანაშაულისათვის კანონი ერთ-ნაირად უნდა სჯიდეს. თქვენ, წმინდანო მამანო, ყველაზედ უფრო უმეტესად ვალდებულნი ხართ [illegible], კეთილად და სამართლიანად მოქმედებდეთ. ღვთის განჩინებით თქვენ ხართ მოძღვრად ჩვენდა დადგენილი. თქვენ უნდა პასუხი გასცეთ საიქიოს გამჩენს, თუ ვინმე ჩვენთაგანი თქვენის დაუდევრობით სულს წაიწყმედს. თვალ-ყური ადევნოთ კეთილ საქმეს, გამოიკვლიეთ ბეჯითად თქვენი სამწყსოს ყოველი ნაბიჯი. სიმართლე დაამტკიცეთ, უსამართლოება განდევნეთ. ბოროტ-მოქმედნი არ უნდა დარჩენ დაუსჯელნი. იწყეთ მართლ მსაჯულება პირველად თუნდა ჩემზედა, თუ რამ ვარ დამნაშავე რასმეში. გვირგვინი, რომელიც მე მადგია თავზედ, არის ნიშანი მეფობისა და არა ღვთის წინაალმდეგობისა და უსამართლოებისა. ნუ მიხედავთ ნურც გვარს, ნურც მთავართ დიდკაცობასა: ყველას განურჩევლად სიმართლით მოეპყარით, გლეხსაც და თავადსაც; ვიმოქმედოთ ყველამ ერთად ქვეყნის საერთო კეთილდღეობისათვის: თქვენ სიტყვით, მხოლოდ მე საქმით, თქვენ დარიგებით, მე აღსრულებით და გაწვრთნით, როგორც რიგია და როგორც უნდა. იმოქმედეთ თქვენ, ვითარცა მოძღვარნი, ხოლო მე ვითარცა აღმასრულებელი თქვენის დარიგებისა. და რომ ყველამ აღასრულოს კანონი, ჩვენ ხელი მივსცეთ ერთმანეთს და თვალ-ყური ვადევნოთ სამართლის მართლად აღსრულებას... ეს სიტყვები ცხადათ გვაჩვენებს თამარ მეფის შეხედულობას და მიმართულებას, რომელიც არ იყო მოკლებული ლიბერალურ ღირსებასა.

ყოველი თავისი წადილი თამარ—მეფემ მოიყვანა სისრულეში. მან დაამშვიდა ქვეყანა, გაამლიერა მეფის ღირსება. გაამრავლა საქართველოში მწერალნი და მეცნიერნი, აიგო მონასტრები სკოლებითურთ და გააუმჯობესა ქართველთა ყოფა-ცხოვრება. ამასთანავე, როგორც კი მორჩა თამარი შინაურ განწყობილების დამყარებას, შეუდგა ის გარეშე საქმეების განხილვას და გაუმჯობესობას. თამარმა არა თუ დაამარცხა ყველა გარეშე მტერი საქართველოსი, არამედ მოუხვეჭა ქართველ ერს საზღვარ-გარეთ მძლავრი და უშიშარი ხალხის სახელი, ააცილა მას მეზობელთა ხალხთა მტრობა და მათთან ბრძოლა და დაამყარა საქართველოში მშვიდობიანობა და კეთილდღეობა. თამარს გარს ეხვია ქვეშევრდომთ ერთგულება და სიყვარული. იგი იყო სვეტი, რომელზედაც დამყარდა ბურჯი ქართველ ხალხის ერთობისა. მან ასეთი გავლენა იქონია ხალხზე თავის წყნარის ხასიათით, კაცთ მოყვარეობით, სათნოებით, დამნაშავეთ შეწყნარებით, გულ-კეთილობით, ღარიბ-ხალხისთვის შემწეობის აღმოჩენით, ჭკუით და სამართლიანობით, რომ ყველა ერიდებოდა ცუდ-კაცობას, რომ ეს საწყენად არ დარჩენოდა მისგან გაღმერთებულ მეფეს.

თამარი სამეფო საქმეთაგან რომ მოიცლიდა, მაშინვე დედა-კაცურად ხელ-საქმობდა. ართავდა ალექსანდრიიდან მოტანილს ვაჭრებისაგან მატყლს, ჰქსოვდა ეკლესიებისათვის შესამოსლებსა და სხვა საკერავებსა და თავის ხელით განუყოფდა ხუცესებს გლახებს და ღარიბებს. ხაზინიდგან არას აძლევდა ღარიბ ხალხს. ყოველს დღეს იმდენს ხელ-საქმობდა, რამდენსაც თავის საჭმელზე ჰხარჯავდა სახლში. ამ ხელ-საქნარს ის ჰყიდდა და მის ფასს ღარიბებს აძლევდა.

„მე ვარ მამა და დედა ობოლთა მსაჯული ქვრივთათა" ამბობდა, თამარი იყო ტაძარი სიმართლისა, გვირგვინი პატიოსნებისა და ბურჯი კაცობრივის ღირსებისა. თამარი თავის სასახლეში ძალიან წყნარად და ქრისტიანულად სცხოვრებდა. მის კარის ეკლესიაში დღეში სამჯერ ლოცვა იყო: მწუხრი, დილეული და სამხრის. თავის სასახლეში თამარს ჰყავნდა ქალები, რომელნიც ხელ-საქმობდენ და ამათ უფროსს უწოდებდენ სახელით დიასახლისსა. თამარის სახელმა და დიდებამ აღამაღლა ხალხში ქალის ღირსება და მნიშვნელობა; მიეცა მას სრული თავისუფლება მოქმედებისა; მაგრამ სამწუხაროდ იმათ ვერ ისარგებლეს კეთილად მონიჭებულის უფლებით: **ისინი ძალიან თავს გავიდნენ, გაამაყდნენ** (გაუტკბათ ცხოვრება იმ ზომამდე, რომ დედობრივი სირცხვილი, ნამუსი, უმანკოება და ერისთვის გულ-შემატკივრობა დაასუსტეს თავიანთ გულში).

კონ. ნიკოლაძე.

(დასასრული იქნება)

რაო, სადაც ჯერ არს, შეამდგომლობა რომ წამალი იგზავნებოდეს ყველგან შემდეგ **მოსეშვილი** ეკითხება ქალაქის. გამგეობას, თუ რა მდგომარეობაშია ხონის ბირჟის შესახებ საკითხი. გამგეობის წევრი **მოსიძე** უპასუხებს, რომ ეს საკითხი გადაეცა საოჯახო კომისიას.

მოსეშვილი. რატომ აქამდი არ მიაქციეთ ყურადღება, რამდენი ხანია ეს წარმოვადგინეთ განსახილველათ. მეც ვარ ამ კომისიაში და ჯერ-ჯერობით არავის შეუტყობინებია საქმის ვითარება.

მშვილობლიშვილი მე ამ დღეებში მივიდე მაგის შესახებ საკითხი და ხვალ გავარჩევთ. ამის შემდეგ საბჭო გადადის მორიგ საკითხების გასარჩევათ. თავჯდომარე აცნობებს დიდ მოხსენებას ქალაქის საზოგადო ბანკის დაარსების შესახებ. აღნიშნა მისი იდეა და მნიშვნელობა მოქალაქესათვის. წლიური ხარჯათ დასჭირდება 9 ათასი მანეთი ეს მოხსენება შესდგება 19 მუხლისაგან.

ალ. ქრინიცკი. უნდა ვიანგარიშოთ, რომ ბანკს პირველი ათი წლის განმავლობაში დიდი შემოსავალი არ ექნება მისი აზრით, საზოგადო ბანკი კონკურენციას ვერ გაუწევს სათავად-აზნაურო ბანკს და 9 ათასი მანეთი ძლიერ ცოტა ხარჯი აღრიცხვა იქნება წლიურათ ბანკისათვის, რადგანაც დირექტორს, როგორც გამგეობას წარმოუდგენია, 1500 მან. ვერ დაიქირავებს.

მოსეშვილი. მე თანახმა არ ვარ კრინიცკისა, ამას არაფერი ფილოსოფია არ უნდა. ჩვენი ხალხი ახლა ვაჭრობა-მრეწველობის გზას ადგია. არც ერთი ბანკი სასოფლო სამეურნეო საჭიროებისათვის არ იძლევა სესხს. მაგალითად, ჩინაძეს, რომელიც წლიურათ ასი-ათ-ს ნერგს ავრცელებს ქუთაისის გუბერნიაში, არც ერთმა ბანკმა კრედიტი არ მისცა. საზოგადო ბანკს, ჩემის აზრით, ქუთაისში დიდი მნიშვნელობა ექნება. ამიტომ წინადადებას აძლევს კრებას კომისიაზე გადუცემლათ მიიღონ ეს საკითხი.

ქემულარია. ეთანხმება წინადადებას.

ზ. გველესიანი. ამ ბანკს იმდენათ მოგებითი ხასიათი არ აქვს, რამდენათ საზოგადოებრივი. ეს საკითხი დღემდი უნდა აღძრულიყო და დღეს თუ ეს რეალურ სახეს ღებულობს სასიამოვნოთ უნდა ჩაითვალოს. ეს საზოგადოებრივი ბანკი ემსახურება ორ იდეას გიპოტეტურ და ეროვნულს და ამიტომ საჭიროა ეს ბანკი უფრო დიდ თანხას ითხოვს, ვიდრე სხვა ბანკები, ამიტომ წინადადებას იძლევა მოსყოვის საკრედიტო კასიდან ავიღოთ სესხათ 5000 მან.

ალ. კრინიცკი. ეს არის წვრილი საკრედიტო ბანკი და ამისთვის ამოდენ თანხას არავინ არ მოგვცემს. საბჭომ ერთხმათ მიიღო დადგენილება, რომ ქალაქმა სესხის სახით აიღოს 50,000 მან. დასასრულ კრებამ დაადგინა პურისა და ხორცის ნიხრი და ამოირჩია საგუბერნიო მუშათა დამხმლევი საზ. წევრები როგორც გვქონდა მოხსენებული.

კრება დასრულდა 11 ნახევარ საათზე.

ა—კი.

ბენეფისი ვ. კორიშელისა

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 28 იანვარს, ქალაქის თეატრში გაიმართება ბენეფისი ფრიად ნიჭიერ ახალგაზდა მსახიობის ვლ. კორიშელისა. წარმოდგენილი იქნება შილლერის 5 მოქმედებიანი დრამა „სიყვარული და ვერაგობა," ბენეფიციანტი შეასრულებს ვურმის როლს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მსახიობი დიდი ნიჭით არის დაჯილდოებული და ჩვენ უნდა მივსცეთ მას საშუალება ამ ნიჭის გასავითარებლათ. აქვე თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენი საზოგადოება დიდ იმედებს უნდა ამყარებდეს ხსენებულ მსახიობზე, რომელსაც დღესვე თვალ-საჩინო ადგილი უკავია ჩვენს მსახიობთა შორის. მაგრამ ისეა მოწყობილი, ჩვენი უკულმართი ცხოვრება, რომ კიდევაც ვინმემ დაიმსახუროს ყურადღება ჩვენი ხელ-მოკლე საზოგადოება, ვერ ახერხებს, შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს მას.

ერთად-ერთი ჩვენი დახმარება იმაში გამოიხატება, რომ რომელიმე მსახიობის ბენეფისზე, ბლომათ ესწრება ხოლმე ჩვენი საზოგადოება. ეს არის ჩვენი თანაგრძნობა მსახიობისადმი ამით შეგვიძლია მხოლოდ დავაფასოთ ხოლმე ჩვენს ნიჭიერ [illegible] საჭიროებელია ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდოს ბენეფიციანტს, რომ მით დავამტკიცოთ სიყვარული და პატივისცემა ჩვენი მსახიობებისადმი, რომელთაც, როგორც ვიცით, ძლიერ ცუდ პირობებში უხდებათ მოღვაწეობა.

Voldemaro.

აკაკი უნივერსიტეტში.

(ოფიციალურ ცნობათა და „მეგობარ-ამხანაგის მოგონებათა თანახმად)

(იხ. „სამშობლო" № 272)

„ამა თუ იმ საგანში სამი აკაკის არ ჰყვარებია, ნამეტურ სპეციალურ საგნებში. ცნობებიდან სჩანს, რომ აკაკი გამოცდას თავს ანებებდა ხოლმე, შესწყვეტდა ხოლმე გმოცდას თუ ატყობდა რომ სასურველ ნიშანს (4 ან 5) ვერ მიიღებდა. ანდა ცდილობდა იმ საგნებში, რომლებშიაც უკვე სამი (3) მიღებული ჰქონდა, განმეორებითი გამოცდა დაენიშნათ მისთვის. ეს ცხადად სჩანს აღმოსავლეთის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის აღმასრულებლის ერთ მოხსენებობის უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის აღმასრულებელისადმი 17 აგვ. 1861 წ.: „ამა წლის (1861) ივნისის 28 რიცხვის მოწერილობაზე (отношеніе) № 1300 პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ მე მგონია შეიძლება გარეშე მსმენელს თავად წერეთელს ნება მივსცეთ დაათავოს გამოცდა რუსულ ისტორიაში საკანდიდატო ხარისხზე; ხოლო რაც შეეხება განმეორებითი გამოცდას თათრულ ენაში, ასეთი განმეორებითი გამოცდა ახალი წესების მიხედვით აღკრძალულია, და ეს გარემოება პატივი მაქვს თქვენი აღმატებულების კეთილგანხილვას წარმოვუდგინო".

„ჩვენ ზევით უკვე მოვიყვანეთ ცნობა იმის შესახებ, რომ აპრილს თათრულ ადერბეიჯანულ ენაში გამოცდის დროს აკაკი ავად გახდარა. საფიქრებელია ეს ავადმყოფობა პოეტს მოეგონებინოს, რომ ნებადაურთველად ხელმეორედ იმავე გამოცდაზე მოსვლის უფლება შეენარჩუნებინა, რაკი ატყობდა სასურველ ნიშანს (4 ან 5) ვერ მიიღებდა. მართლაც 17 მაისს ჩვენ აკაკის იმავე გამოცდაზე ვხედავთ, მაგრამ სამი მიიღო, როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ. ეს სამი არ ასვენებს პოეტს და ის გარემოება, რომ რუსულ ისტორიაშიც გამოცდა დაუმთავრებელი აქვს.

„3 ოქტომბერს 1861 წ. დეკანი ა. მუხინსკი შემდეგ წერილს უგზავნის გამოჩენილ ისტორიკოსს კოსტომაროვს აკაკის შესახებ: „აღმოსავლეთის ფაკულტეტის დეკანი, უცხადებს რა სრულ პატივისცემას ნიკოლოზ ივანეს ძეს, უმორჩილესად სთხოვს დაუშვას გარეშე მსმენელი აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტისა წერეთელი რუსული ისტორიის გამოცდაზე და ამავე ფურცელზე ნიშანი დაუსვას მას". ორდ. პროფესორის თანამდებობის აღმასრულებელი კოსტომაროვის წარწერა: „გამოვცადე რუსულ ისტორიაში და (4) მიიღო".

„ამნაირად აკაკიმ რუსულ ისტორიაში საქმე გამოაკეთა, მაგრამ თათრულ-ადერბეიჯანულში განმეორებით გამოცდის დანიშვნაზე უნივერსიტეტის მთავრობამ ახალი წესების მიხედვით უარი უთხრა. აკაკი არც აქ შეჩერდა და სხვა ზომებს მიმართა თავისი სურვილის შესასრულებლად. რადგან უნივერსიტეტის მთავრობის უფლებას აღემატებოდა განმეორებითი გამოცდის დანიშვნა, აკაკი იძულებული იყო სასწავლო მზრუნველისათვის მიემართა ამ საგნის შესახებ. მზრუნველს შეუწყნარებია აკაკის თხოვნა, რაც სჩანს შემდეგი ცნობიდან: აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის სხდომაზე 31 მარტს 1862 წ. უფ. მზრუნველის ნებართვით ადერბეიჯანულ ენაში გამოსცადეს აკაკი წერეთელი, აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართული განყოფილების თავისუფალი მსმენელი. უპასუხა ოთხზე (4). ხელს აწერენ: ადიუნქტი ბუდაგოვი, დეკანი ა. მუხინსკი, დ. ჩუბინოვი, მ. ნავროცკი, მდივანი დ. კ. გოლსტუნსკი. *).

ამ გვარად 1862 წელს, მარტის, 31-ს, აკაკიმ ჩააბარა უკანასკნელი გამოცდა და მოიპოვა უფლება საკანდიდატო თხზულების წარდგენისა.

როგორც თ-დმა კირილე ლორთქიფანიძემ გადმოგვცა, აკაკის საკანდიდატო თხზულება მართლაც წარუდგენია. თემა აღებული ჰქონია ქართული ლიტერატურიდან, სახელდობრ შესახებ „ვეფხის ტყაოსნის" ორიგინალობისა თ-ს კირილეს კარგად აღარ ახსოვდა თვით თემის ფორმულა, მაგრამ აზრი კი სწორედ ასეთი ყოფილა **). იმ თხზულებაში გატარებული აზრები შემდეგ უფრო ვრცლად აკაკის განუვითარებია თავის ლექციებში „ვეფხის ტყაოსნის" შესახებ (შეად. აკაკის თვიური კრებული" 1898 წ. №№ 5 და 6).

თხზულება, როგორც სჩანს, მოეწონებიათ, რადგან აკაკი უცვნიათ ღირსად საკანდიდატო ხარისხის მიღებისა, თუ გიმნაზიის კურსის დამთავრების მოწმობას წარადგენდა. მაგრამ აკაკის ასეთი მოწმობა არ წარუდგენია და ამის გამო არც დიპლომი მიუღია.

ჩემს შეკითხვაზე თუ რომელ სასტუდენტო წრეებში მუშაობდა ხოლმე აკაკი უნივერსიტეტში ყოფნის დროს, თ-დ. კირილე ბეჟანის ძემ მიპასუხა რომ იმ დროს უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტობას არავითარი წრე არა ჰქონია; არსებობდა მხოლოდ პოლონელ სტუდენტთა წრე და რუსის სტუდენტთა ორი წრე: „Земля и Воля" და „Народники"-ო; ამ წრეებში არცერთი ჩვენგანი (და არც აკაკი) მონაწილეობას არ იღებდაო—სამაგიეროდ აკაკის ძალიან ჰყვარებია რუსული ლიტერატურისა და კრიტიკის კითხვა: მე-19-ე საუკუნის მგოსან-ბელეტრისტებსა და კრიტიკოსებს ძალიან კარგად იცნობდაო,—ბრძანა თ-მა კირილე ლორთქიფანიძემ. სამაგიეროდა საფილოსოფოსო თხზულებათა კითხვა მას ეგრე რიგად არა ჰყვარებია.

ასეთია ჯერ-ჯერობით ჩვენი ცნობები აკაკის უნივერსიტეტში ყოფნის შესახებ. იმედია—მომავალი უფრო მეტს საინტერესო ცნობებს მოგვცემს დიდებული მგოსნისა და მამულიშვილის შესახებ. (საქ).

ხ. გორგაძე.

ქ-ნ დუნდუას პროგიმნაზია.

(გამოფენის გამო)

რამდენათ ქალი ოჯახში სპეტაკია, მუყაითი, პატიოსანი და კარგი აღმზდელი, იმდენათ მის ერს დიდი მომავალი აქვს. გამოჩენილი პედაგოგ-მეცნიერები ერთხმად აღიარებენ დედის უპირატესობას აღზრდის საქმეში, დედისაგან შეუმჩნევლათ გადადის ბავშზე ყველა ის თვისებები რითაც იგია აღჭურვილი. და თუ ეს ასეა, მაშინ არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის, თუ ჩვენი „მოდის" საშუალო ქალთა სასწავლებლები რა დანიშნულებას ასრულებენ. არსებულ წესწყობილების მეოხებით ჩვენი მომავალი თაობის აღმზრდელები გადაგვარებულ გზას ადგიან, და როცა საშუალო სასწავლებლებს ასრულებენ მხოლოდ 20%, თუ ასრულებს თავის დანიშნულებასა და მოვალეობას. დანარჩენი კი ზედმეტ ბარგათ არიან გამხდარი ოჯახისათვის.

ჩვენი ქალები იღებენ თეორეტიულ განათლებას, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ოჯახის რეალურ მოთხოვნილებასთან. მომავალი ოჯახისათვის გამოუსადეგარი შეიქნა ალგებრის, ტრიგონომეტრიისა და გეომეტრიის ფორმულები.

ჩვენში ძლიერ მცირეა ისეთი სკოლები, სადაც ასწავლიდენ ხელსაქმეს რომელიც აუცილებელია ოჯახისათვის. ევროპაში თვით მთავრობა ცდილობს გაამრავლოს ასეთი ტიპის სკოლები, ჩვენში კი მხოლოდ რამდენიმე კერძო პირის ინიციატივით იხსნება ასეთი სასწავლებლები.

მე მოგახსენებთ, რომ კარგი ხანია მას შემდეგ რაც ქუთაისში არსებობს ქ-ნ დუნდუას 4 კლასიანი პროგიმნაზია ჭრა-კერვის განყოფილებით. ჭრა-კერვის კურსები ყოველივე უფლებას ანიჭებს მოწაფეთ, ასე რომ აქაური ატესტატებით ქალს ყველგან შეუძლია ხელობის მასწავლებლის მოვალეობა შეასრულოს, არის სამი მოსამზადებელი განყოფილება და ოთხი კლასი ამ ჟამათ სწავლობს 55 (!) მოწაფე ქალი. ამ სკოლაში ქართულ ენას უპირველესი ადგილი უჭირავს და ფრიად მცოდნე პირი, ბ-ნი კ. დუნდუა ასწავლის ამ საგანს. წელს ეს სკოლა დაასრულა როგორც მოხსენებული გვქონდა, 6 მოწ. ქალმა. ამავე სასწავლებლის გამგემ ქ-მა დუნდუას ასულმა მოაწყო ამ კურს დასრულებულ მოწაფეთა ნაწარმოების გამოფენა. გამოფენას საკმაო საზოგადოება დაესწრო, რომელმაც დიდი სიამოვნება გამოიწვია მნახველ საზოგადოებაში. კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა მოწაფეთა მრავალი ხელით ნაქარგი სხვა და სხვა საგანი თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ყველა ეს დიდ საჩუქარს შეადგენს მათი მომავალი ოჯახისათვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ-ჯერობით კიდევ არ აფასებს ასეთი ტიპის სკოლებს და თავიანთი შვილები „მოდის" გიმნაზიებში შეჰყავთ. რითაც აიხსნება ის, რომ ამ სასწავლებელში ამ ჟამათ მხოლოდ 55 მოწაფე სწავლობს და რომელიც სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ა. ნი—ძე.

ქუთათური კორესპოდენტის სიყალბე.

„სახალხო ფურცლის" ქუთათური კორესპოდენტი ეს ერთი ხანია ხსენებულ გაზეთს სისტემატიურად აწვდის ყალბ ცნობებს და მით „სახალხო ფურცლის" რედაქცია და მკითხველი საზოგადოება შეცდომაში შეყავს. ჩვენ არ ვიცით ბ-ნი კორესპოდენტი თუ რა მიზნით ჩადის ყველა ამას და რად აწვდის ასეთ ყალბ ცნობებს, რომელიც შეეხება გაზეთ „სამშობლოს" და ხსენებულ ორგანოს გამომცემელ ამხანაგობას. დრო არის დარწმუნდეს ხსენებული კორესპოდენტი თავის სიყალბეში და უფრო სწორი ცნობები მიაწოდოს „სახალხო ფურცლის" რედაქციას

ამას წინად სწერდა ბ. კორესპოდენტი თითქოს ადგილობრივ ქ. შ. წ. კ. ს. განყოფილებას უფასო სამკითხველოებისათვის გამოწერილი ქონოდეს 3 ცალი ჩვენი გაზეთისა, მაშინ, როდესაც 5 ცალი ქონდა გამოწერილი სხვა და სხვა სამკითხველოსათვის და მას შემდეგ კიდევ გამოიწერა, ალბად რაც არა სასიამოვნოდ უნდა დარჩეს ჩვენის აზრით პატივცემულ „ქუთათურ კორესპოდენტს".

მეორე სიცრუე ხსენებულ კორესპოდენტისა იმაში გამოიხატება, რომ იგი ამ რამდენიმე დღის წინად სწერდა „სახალხო ფურცელში", თითქოს გაზეთ „სამშობლოს" რედაქტორი, ბ-ნი ია ეკალაძე გადააყენებიოს გამომცემელ ამხანაგობას და მის ადგილზე ალ. ასათიანი დაენიშნოს, რაც სიმართლეს მოკლებულია. და კიდევ ასეთ სიცრუესთან ერთად, „სახალხო ფურცლის" მე-4[illegible] ნომერში, [illegible] სწერს, „[illegible] 24 [illegible] „სამშობლოს" [illegible] გამომცემელ ამხანაგობისა, [illegible] 30-მდე კაცი. [illegible] წულაძის (?) [illegible] რედაქტორის და მდივნის არჩევა [illegible] და სხვა.

ასე სცრუობს ხსენებული კორესპოდენტი. ჩვენ ვიტყვით, რომ ზემოაღნიშნული ცნობა „სამშობლოს" გამომცემელ ამხანაგობის შესახებ მტკნარი სიცრუეა. პირველი ისა, რომ კრებას, 30-მდე კაცი კი არა 40-მდე დაესწრო, თუ განგებ არ სტყუის ხსენებული კორესპოდენტი, ხსენებული გაზეთი მაინც გადაეთვალიერებინა და იქიდან მაინც ამოეკრიბა საჭირო ცნობები ხსენებულ კრების შესახებ. მეორე სიყალბე კორესპოდენტისა ის არის, რომ გამგეობის შემადგენლობა, იმ პირთაგან არ შესდგება, როგორც ის აღნიშნავს ხსენებულ „სახალხო ფურცლის" მე-488 ნომერში.

წულუკიძის მაგიერ, წულაძესა სწერს და აგრეთვე გამგეობის წევრათ ასახელებს ბ-ნ სპირ. ჯორჯიკიას, რაც მართალი არაა. სიმართლეს მოკლებულია კორესპოდენტის ცნობა აგრეთვე რედაქტორისა და მდივნის გადაყენების შესახებ.

მაშ რად დასჭირდა პატივცემულ კორესპოდენტს ასეთი ყალბი ცნობების მიწვდა „სახალხო ფურცლის" რედაქციისათვის, ეს მკითხველმა გაიგოს!

ლ.

რედაქტორ-გამომც. **ი. ცინცაძე.**

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	5 ს.	50 წ.
„	საღამ.	6 ს.	57 წ.
ბათომიდან	დღისით	1 ს.	25 წ.
„	ღამის	2 ს.	23 წ.
ფოთიდან	დილის	10 ს.	8 წ.
ტყიბულიდან	საღამოს	7 ს.	39 წ.
შორაპნიდან	დილის	9 ს.	18 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

ტფილისაკენ	დილის	11 ს.	55 წ.
„	ღამის	1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	დღისით	5 ს.	30 —
„	დილის	4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	დღისით	4 ს.	27 წ.
ტყიბულისკენ	დილის	6 ს.	20 წ.
შორაპნისაკენ	დღით.	5 ს.	— —

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა"
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ **ფრანგულ ექ. დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებული საშუალებების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ. სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარ შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს, რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების მხედველობის და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიდ სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. სიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შამირზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში. ფასი ერთი კოლოფისა 5 მან. წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ. (წლიური)

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.

---

*) აქ თავდება ბ-ნის ი. ყიფშიძის მიერ საუნივერსიტეტო არქივიდან ამოკრებილი ცნობები. ბ-ნმა ყიფშიძემ „საისტორიო საზოგადოებას" გადმოსცა თვით ამ ოფიციალური დოკუმენტების პირებიც, საიდანაც მას თავისი ცნობები ამოუკრებია. ეს პირები ინახება აკაკის სხვა საბიოგრაფიო მასალებთან ერთად.

**) სახელდობრ: О подлинности Барсовой Кожи.